645
1957/2



# საბჭოთა ქალი

№ 2 ოქტომბერი 1957



ილია ჭავჭავაძე
პოლემიკური წერილები
მგზავრის წერილები
THE
BY PRINCE ILI

# სარჩევი


ქალი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

საგურამოში—ლექსი.

ქართველი ქალების დიდი მოამაგე.

გულსაბამი.

«დედაც კაცია».

ილიას ბრძნული გამოთქმები.

ახდენილი ოცნება.

მეონნის გული.

წარსულის ფურცლებიდან.

ადამიანები და მიღწევები.

«არავის ჰყავს ჩემისთანა ბებია».

ურჩი ბაჭია—საბავშვო მოთხრობა.

ევროპის გარშემო.

კოსმეტიკა. კულინარია.

რა უნდა იცოდეს დიასახლისმა.

კროსვორდი. იუმორი.

გარეკანის პირველ გვერდზე—ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა საგურამოში—ფოტოდოკუმენტი.

გარეკანის მეორე გვერდზე—ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემებისა და ილუსტრაციების მონტაჟი.

ჩანართი გვერდები — ქართველი მხატვარი ქალების ნამუშევართა რეპროდუქციები.



ნომერი გააფორმა **გ. დიკმა.**

ფოტოკორესპონდენტები: **ი. მღებრიშვილი, თ. თურქია.**

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.


7403



ქანდაკება შესრულებული
ნელი ოქროპირიძის მიერ.


**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალი**

# საბჭოთა ქალი

**№ 2**

**ოქტომბერი**

**1957 წელი**


„დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".

# ქალი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

«ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!»— შოთა რუსთაველის ამ უკვდავ აფორიზმში გამოიხატა ქართველი ხალხის მაღალი შეგნება, რომელიც ქალს მამაკაცის გვერდით აყენებდა, მის თანატოლად და თანამებრძოლად რაცხდა. ჩვენი ერის არსებობის პირობები თავიდან ისე წარიმართა, რომ ვაჟკაცის ხმალსა და გუთანთან ერთად იბრძოდა და იღვწოდა დიაცის წრფელი გულიც და ერთგული მარჯვენაც. ჩვენი პატარა ქვეყნის დიდმა ისტორიამ, მემატიანეს ფურცლებზე აღბეჭდილმა თუ მხატვრული სიტყვით ნაქანდაკარმა, არა ერთი ქართველი ქალის ბრწყინვალე სახელი დაუტოვა მემკვიდრეობას.

ასე იყო ადრეულ საუკუნეებში, ასე იყო XIX საუკუნეშიც, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლების ამ დაძაბულ ატმოსფეროში, როდესაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის რაინდები თავისი დროშის ქვეშ კრებდნენ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ახალი ძალით გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ქართველი ქალის კეთილშობილი სახე.

ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი ერთერთი უბრწყინვალესი ეროვნული ტიპია, რომელიც ოდესმე ლიტერატურას შეუქმნია.

სიმკაცრე და გულთბილობა, სიკუშტე და შემბრალებლობა, უკმეხობა და სინაზე, შეუპოვრობა და დათმობა,— აი, ხასიათის ის თვისებები, რომლებიც ოთარაანთ ქვრივშია თავმოყრილი. ამ თვისებებს საუკუნეთა მანძილზე უქმნიდა ქართველ ქალს წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების პირობები.

ოთარაანთ ქვრივი სახეა ქართველი ქალისა, რომელსაც, ცალუღლად დარჩენილს, უტვირთია მძიმე ვალი ნამუსის, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე და ღირსეულადაც უტარებია ეს ტვირთი.

ხატავს რა ქალს, როგორც სოციალური ცხოვრების ერთერთ მამოძრავებელ ძალას, ილია ძირითადად ხაზს უსვამს მის უდიდეს როლს ოჯახისა და შვილის წინაშე. კარგი ოჯახი საფუძველია კარგი თაობის აღზრდისა, ხოლო კარგი თაობა—საზოგადოების კეთილდღეობისა და მომავლის ქვაკუთხედი და ბურჯია, ამიტომ არის, რომ ოთარაანთ ქვრივის ყველა ადამიანურ თვისებათა შორის განსაკუთრებით გამოჰკვეთა მწერალმა მისი, როგორც დედის სახე. დედობის წმინდა ვალმა განამტკიცა ოთარაანთ ქვრივის სული მწარე ცხოვრებასთან ბრძოლაში; მან მისცა ძალა მკაცრად სამართლიანი ყოფილიყო შვილის მიმართ ცხოვრების ყველა მომენტში და მანვე აღჭურვა უნარით უარი ეთქვა საკუთარ თავზე მაშინ, როდესაც მისი ინტერესი შვილის ინტერესს ეღობებოდა.

ამ უბრალო, გაუნათლებელი გლეხი ქალის «ორი დოლის» ფილოსოფია თაობათა წინააღმდეგობის, ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი ლოგიკური კანონის შეგრძნება. იქ, სადაც მომავალი პოულობს თავის სავალ გზას, მიმავალი აღარ უნდა დაუდგეს წინ—«მე დედა ვარ და მიმავალი,— ამბობს ოთარაანთ ქვრივი,—ის შვილია და მომავალი. მე მივდივარ, ის მოდის, იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ,—ის თავში. წინ ვერ ავეფარები ...

სანამ ოთარაანთ ქვრივი ზრდიდა გიორგის, შვილი დედის უნებურად ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. მაგრამ, როცა შვილი დავაჟკაცდა, როცა მისი სურვილი და მისწრაფება დედისას დაუპირისპირდა, ქვრივმა დათმობა არჩია. «არა, შვილო!... შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისა მაყურებლით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ!..»

აქაა ის უდიდესი თავგანწირვა, რომლის უნარი მხოლოდ დედას შესწევს...

დედის გრძნობები განსაკუთრებული გრანდიოზულობით გამოიხატა სურათში, სადაც ოთარაანთ ქვრივი მომაკვდავი შვილის სარეცელთან დგას. ეს სურათი უბადლოა თავისი ოსტატობით, იგი უკვდავყოფაა დედაშვილური სიყვარულისა. დიდებულია ის კომენტარიც, რომელსაც ავტორი ამ სურათს ურთავს: «დადუმდა, შედგა ყველა და მარტო დედაშვილობის კაცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ღა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა».

ასეთია დედა-შვილობის გრძნობა. ილიას აზრით, განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს ის დედა, რომელიც პირად გრძნობაზე მაღლა საზოგადოებრივ მოვალეობას აყენებს და პირველი მეორეს სამსხვერპლოზე მიაქვს. დედის ვალია შვილი საზოგადოებისთვის აღზარდოს, ხოლო შვილისა—ამ საზოგადოებისთვის თავი დასდოს.

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია,

და მეორეს მხრივ:

ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ყვარებია!..

აქაა ის დიდი მორალი, რომელსაც გმირის სიმაღლეზე აჰყავს ქალი და ერთის დედობიდან ერის დედობამდე ამაღლებს.

საშინელიცაა და სანეტაროც მამულისათვის დაღუპული შვილის დედობა:

შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც:
მისთვის, რომ მე ვარ დედაშენიც და ქართვლის დედაც!—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე ღრმად და ორგანულად გადაანასკვა ილია ჭავჭავაძემ ერთურთს მშობლისა და მოქალაქეობის გრძნობა, და მას ქალის «მაღალი დანიშნულება და საღმვთო ვალი» უწოდა.

ამრიგად, ილიამ ქართველი ქალი დიდების კვარცხლბეკზე აიყვანა. იგი არა მარტო ბურჯია იმ პატარა საზოგადოებრივი უჯრედისა, რომელსაც ოჯახი ეწოდება, არამედ უპირველესი აღმზრდელია საზოგადოების ღირსეული წევრისა.

როდესაც ვლაპარაკობთ ქალის სახეზე ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ისეთ საინტერესო გმირს, როგორიცაა კესო («ოთარაანთ ქვრივი»). ეს გმირი მხოლოდ ნაწარმოების სიუჟეტური კვანძის შესაკრავად როდია მოგონილი. მას თავისთავადი ღირებულება აქვს. ესაა სახე ახალი, განათლებული, დამოუკიდებლად მოაზროვნე ქალისა. ძმასთან საუბარში «ჩატეხილი ხიდის» პრობლემაზე იგი შეგნებულად იცავს თავის პოზიციებს და ამავე შეგნების ძალით უარყოფს საკუთარ შეხედულებას უფრო სწორისა და პროგრესულის სასარგებლოდ.

როდესაც ილია ჭავჭავაძე ხატავს სოციალური უკუღმართობის მძაფრ სურათებს, იგი აქაც ყურადღებას ამახვილებს ქალზე, როგორც ამ უკუღმართობის მსხვერპლზე. ბატონყმური ინსტიტუტის შედეგია ლუარსაბ თათქარიძე. ამავე წყობამ შექმნა მისი თანამეცხედრე —კნეინა დარეჯანი. მუქთახორობა, სხვისი შრომით ცხოვრება, დღევანდელი დღით არსებობა სპობს ამ ქალში ადამიანურ სახეს და მისი ადამიანობაც, ისევე როგორც მისი მეუღლისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ბატონყმური წყობილების მსხვერპლია ლამაზისეული—დარეჯანის მოახლე. მისი მსხვერპლია, აგრეთვე თამროც («გლახის ნაამბობი»). თამროს უბედურება გლეხი ქალების საერთო უბედურებაა.

იბრძოდა რა ბატონყმობის წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ქმნიდა ამ წყობის პირობებში წარმოშობილ ქალთა სახეებს. ამით იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქალიც აქტიური წევრია სოციალური ცხოვრებისა და მის ტვირთს მამაკაცის თანაბრად ეზიდება. ეს უფლებას აძლევს ქალს მამაკაცის თანაბარი როლი ითამაშოს ცხოვრების განვითარებასა და გარდაქმნაში.

მართალია, ილიას არ უჩვენებია (ეპოქის თავისებურების გამო ვერც აჩვენებდა) ქალი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მშენებელი, მაგრამ მან აშკარად მიუთითა ქალში დიდი პოტენციური შემოქმედებითი ძალების არსებობაზე.

დღეს, ჩვენს პირობებში უკვე აღარავისთვის აღარ არის სადავო, თუ რა დიდი სოციალური ძალაა ქალი. საბჭოთა ქალმა გმირული ქმედებით გაამართლა ის რწმენა, რასაც დიდი ჰუმანისტები და მათ შორის ჩვენი ილიაც, მათზე ამყარებდნენ.

ვიოლეტა ცისკარიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.




მარიკა ბარათაშვილი

იმ აივანზე, სად ილიას უყვარდა ჯდომა,
მგოსნის ცარიელ სავარძელს იქით-აქედან,
დამსხდარან ორნი.
გარეთ ფოთლებს თვლის შემოდგომა...
გულში კი მკაცრი მოგონება ჰქექავს ნაღვერდალს.

„ბატონო არტურ, გახსოვთ, როცა ჩემი ილია"...
ხმა აუთრთოლდა ოლღას... უცებ გაწყდა სათქმელი.
სტუმარს გაჰხედა—„ძინავს?... რარიგ ფერმიხდილია!..."
ისევ სიჩუმე და სიბნელეს ებრძვის სანთელი.

„ძინავსო?"—ლაისტს ამ წიაღში რა დააძინებს!
თვალი მილულა, ფიქრის კარი გაალო ფართოდ...
ო, მოაშორეთ ის სიზმარი, მძიმეზე მძიმე,
ღვთის გულისათვის, ილიასთან დასტოვეთ მარტოდ.
სად ნახოს, ნეტავ, სად შემორჩა შუალამემდე?—
ასე ადვილი ხომ არაა ქვეყნის ბურჯობა!
ეს დაამტკიცე, ის განმარტე, მას არ დანებდე,
დასძლიე ყველა—უმეცრება, გესლი, ურჩობა.
იქნება მთიდან კარს მოადგა ხურჯინით ვაჟა,
ექნებ აკაკის ლექსმა გაჰკრა ცაში კამარა?
იქნება ბანკში შერჩა დავას?—ისევე აშლა...
და საგურამო მიატოვა ოლღას ამარა?
... ან იქნებ მოჰკრის, ამ კუთხეში რომ დაისვენოს,
ამ აივნიდან მოისმინოს ტკბილი ურმული.
ოღონდ მეეტლემ წიწამურთან არ შეაჩეროს,
თორემ ილიას ისევ ესვრის ვინმე უგნური.
ო, არა! აგერ, ახლოვდება ეჟანის ჟღარუნი...
სანათი ჩქარა, გააღეთ დარბაზი დიდი.
მოვა ილია დამაშვრალი, შუბლდაღარული
და სავარძელში დაბრძანდება ჩვეულ სიდინჯით.
რაო? მოჰკლესო? არ მოვაო? ეს ვინ გასწვივის?
საქართველოს გულს რა მოჰკლავდა, რას როშავ, ქარო?
შენ თვითონ ნახე წიწამურთან მძიმედ დაჭრილი?
ის არ მოკვდება, ასი ტყვიაც რომ დაახალონ!"...

— „ბატონო არტურ, გახსოვთ, როცა ჩემი ილია"...
ხმა აუთრთოლდა ოლღას... ისევ გაწყდა სათქმელი.
სტუმარს გახედა—„ძინავს? რარიგ ფერმიხდილია!"
ისევ სიჩუმე... კვლავ სიბნელეს ებრძვის სანთელი.

ფანჯრის რაფაზე დგას და ღამეს ებრძვის სანთელი,
იწვის...
სვეტებთან იდუმალად დგანან ჩრდილები.
სიოს ჩურჩული და ფოთლების კორიანტელი...
ღამის ლანდები, მთვარიანში წამოშლილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დედაკაცი“

დიდი მწერალი, დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ქალთა მოქალაქეობრივი უფლების მოპოვების მგზნებარე მქადაგებელთაგანი იყო არა ერთსა და ორს თავის მხატვრულ ნაწარმოებსა. თუ პუბლიცისტურ წერილში მოუცია მას ამ პრობლემის ღრმა და მკვეთრი გადაწყვეტა.

«რა ცარიელია ეს ქვეყანა უადამიანოდ»— ამოხდენია ილიას და ამ ქვეყნის შემამკობელ არსებას—ადამიანს იგი ხედავდა როგორც კაცში. ისე ქალში—«დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰლალადებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვასა».

ილია თავის სამწერლო-მეცნიერულ ტერმინოლოგიაში არსად არ იყენებს სიტყვას—ქალი. ყველგან ხმარობს—«დედა», «დედაკაცი». წერილში «პატარა საუბარი» ილია. ქართული ენის მდიდარი ბუნების უბადლო შემცნობი, ასეთს განმარტებას აძლევს ხალხში გავრცელებულსა და დამკვიდრებულ ტერმინს— «დედაკაცი»... «ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის. რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე. რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ «დედაკაცს» ეძახის. როგორც მამას—«მამაკაცს»... ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია. რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს. ქართველებისათვის «დედა» მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც «დედა-ენას» ეძახის, უფროსს ქალაქს—«დედა-ქალაქს». მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას—«დედა-ბოძს». უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს--«დედა-ბურჯს», სამთავრო აზრს—«დედა-აზრს», გუთნის გამგებელ მამაკაცს კი—«გუთნის-დედას».., სიდიდე. სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!.. სიტყვა «ქალი» განა იმოდენას გვეტყვის. რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა «დედა» და მასთან ერთად» «კაცი»'»

ასეთ ილუსტრაციას იძლევა მწერალი იმისას. თუ როგორ იჭედება ხალხის მიერ ენა. როგორი სიღრმითა და ძალით გამოხატავს სიტყვა საგნის მნიშვნელობას.

დიდი მწერალი თავის მხრივ ავსებს და აღრმავებს ხალხის შეხედულებას დედაკაცზე. «ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია. დედაკაცისათვის სახლია პატიოსანი შრომისა. მინდორია სახნავ-სათესი. ყანაა სამკალი. ძნაა სალეწი. სარბიელია სამარ ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო დედაკაცია. დედაკაცი ფარხმალიანი ქალია და სად მივლენ ერთმანეთთან!»...

ილია სასტიკად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ. ვინც «მოკლე ფარგლით» უზომავდა ადგილს დედაკაცს. «ადამიანობიდან ჩამოჰყავდა» იგი და სწავლა-განათლების ღირსადაც არა თვლიდა... «განა საჭირო არ არის. ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტი აზრებისათვის. აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესისათვის. გავაგებინოთ იგი ვალი. იგი თანამდებობა. რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს»?— გულისტკივილით ამბობდა ილია. წერილში «სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლის შესახებ» მწერალი სიხარულით ეგებება შესანიშნავ წამოწყებას ქალთა სამეურნეო ცოდნის მიღების შესახებ და მოითხოვს სამეურნეო აკადემიაში ქალთა შესვლის უფლებასაც. რომელიც «დღეს წართმეული აქვთ ქალებს და მხოლოდ მამაკაცის უფლება გამხდარა. მაგრამ პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელიმე უფლების მინიჭებისა. მაინც მისალოცია. და სასიამოვნო მისაგებებელიო»,— ასკვნის იგი.

ეპოქის სხვა საჭირბოროტო საკითხთან ერთად. ილია ჭავჭავაძემ თავისი წვლილი შეიტანა ქალთა საკითხშიც და ამითაც ქართველი ერის წინაშე «აღასრულა მან თვისი ვალი».

**ბაბო მჭედლიძე.**

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

## ილიას ბრძნული გამოთქმები

ვინც მამულისთვის არ იმეტებს
თავისა შვილსა
მას შვილი თვისი. ჩემო კარგო. არ
ჰყვარებიან...

ეჰა. მამულო! შენის ტრფობის ძალსა
ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს
აძლევ უძლურსა..

ძმანო. შინ უღლით სიცოცხლეს
ომში სიკვდილი სჯობია.

თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

სხვა შენთვის და შენ სხვისთვის.

მოძმეთა ხსნისთვის თავის დადება
წმიდა ხვედრია მხოლოდა გმირთა.

ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული.
ვინც მონებას თვით ემორჩილება.

შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის!

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს
მჭრელი.
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?

ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია.

დროზე ხმარებული ფარი იგივ
ხმალია.

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის.

მიწასთან გასწორებულია ის, ვისაც იმოდენა ღონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს.

მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა.

რაც კარგია—თავისთავად დიდია.

სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება.

საქმის დანახვა სჯობს
ცრემლით თვალების აბმასა.

ალ. გიგოლაშვილის სურათიდან.



ილია ჭავჭავაძე მწერალთა ჯგუფში კითხულობს „განდეგილს“.



# ახდენილი ოცნება

ეზო აკლებული იყო ბიჭუნების ჟივილ-ხივილით. მათ თამაშს «ლახტი» იქნებოდა ეს, «რიკტაფელა» თუ სხვა. კუდრაჭა. ცისფერთვალება გოგონაც აყვებოდა ხოლმე. აყვებოდა რა სათქმელია. ამ თამაშთა განუყრელი მონაწილე იყო. და აბა, ვინმეს გაებედა ალმაცერად შეეხედა ქალაბიჭა შურასათვის?!. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე.

დრომ თავისი გაიტანა. შურა დადინჯდა. გაიტაცა სპორტმა. მას კიდევ ერთი სანუკვარი მისწრაფება გაუჩნდა—კინოხელოვნება. ამ სურვილმა 20 წლის ქალიშვილი თბილისის კინოსტუდიაში მიიყვანა და თავდაპირველად მონაგარიშედ დააწყებინა მუშაობა.

საიდუმლოებით იყო მოცული მისთვის კინო. ჯადოსნებივით ფუსფუსებდნენ სტუდიაში რეჟისორები. ოპერატორები. მსახიობები... ის გაოცებული ადევნებდა თვალს ყოველივეს. არა მსახიობის. არა რეჟისორის. არამედ ოპერატორის ხელოვნებამ დააინტერესა შურა: ამ პროფესიისათვის კი საქართველოში ქალს ჯერ კბილი არ გაესინჯა. თუ არ ჩავთვლით 1933 წელს თამარ თუშურიშვილის ხანმოკლე მუშაობას ოპერატორის ასისტენტად.

შურა მთელი წელი გულში ინახავდა ოპერატორად გახდომის სურვილს და ერთხელ გულითად მეგობარს რუსუდან ელისაბედაშვილს გაენდო. მეგობარმა არჩევანი მოუწონა.

— ოპერატორის ასისტენტად გსურთ მუშაობა? ეს რა ქალის საქმეა?—გაიკვირვა კინოსტუდიის მაშინდელმა დირექტორმა.

გავიდა დრო. 1942 წელს კინოსტუდიაში ოპერატორის ასისტენტები დასჭირდათ. ამან გაუბედვინა შურას კვლავ გაემეორებინა თხოვნა, მაგრამ ახლა, უკვე სხვა დირექტორმა ურიგოდ როდი მიიჩნია მისი სურვილი. რეჟისორ დ. რონდელის რეკომენდაციამაც გასჭრა და მოხალისე ქალიშვილი დაინიშნა ა. სემიონოვის თანაშემწედ კინოქრონიკაში, შემდეგ კი—სააპარატო ბაზაში სინქრონულ აპარატებზე (ხმის ჩაწერა ფილმის გადაღების პარალელურად). შურა კარგად შეეგუა ახალ საქმეს, თან დაუსწრებლადაც სწავლობდა უნივერსიტეტში, ისტორიულ ფაკულტეტზე. ასე გრძელდებოდა 1945 წლამდე. როცა მას წინადადება მისცეს სპეციალური განათლების მისაღებად მოსკოვში გამგზავრებულიყო.

ალექსანდრა ფარეზიშვილი მოსკოვისაკენ მიდიოდა და ბავშვივით მიუხაროდა. ჩაიარა მისაღები გამოცდების მღელვარე დღეებმა. დადგა სიძნელეებითა და სიხარულით აღსავსე სტუდენტობის წლები—საინტერესო ექსკურსიები მოსკოვის კინოსტუდიის კულისებში და პრაქტიკა გამოჩენილ ოპერატორებთან.

1951 წელს შურამ სადიპლომო შრომა წარადგინა—ერთნაწილიან ფირზე აღბეჭდილი იყო მშობლიური თბილისი. შრომამ დადებითი შეფასება მიიღო. ოპერატორი ქალი თბილისში დაბრუნდა.

«მწვერვალთა დამპყრობნი» (რეჟისორი დ. რონდელი). კინონარკვევი გორზე—«ბელადის სამშობლოში» (რეჟისორი კ. გრძელიშვილი). «შემთხვევა საამშენებლო უბანზე» (რეჟისორები დ. აბაშიძე და ნ. ჟუჟუნაძე)—ასეთი იყო შურას პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. ოპერატორები—დ. ფელდმანი, ფ. ვისოცკი, გ. ქორელი იყვნენ მისი პრაქტიკული ხელმძღვანელები, მათ უზიარებდა შურა თავის გაჭირვებასა და სიხარულს. ისინი უწყობდნენ ხელს მის წინსვლას.

ამის შემდეგ დაიწყო საინტერესო მუშაობა ოპერატორის თანაშემწედ მხატვრულ ფილმებზე—«ჩრდილი გზაზე» და «აბეზარა» (მთავარი ოპერატორი დ. ფელდმანი). ამ უკანასკნელში კადრების კომბინირებული გადაღება მთლიანად შურას მიანდეს. დამოუკიდებლად შესრულებულმა სამუშაომ დიდი სიხარული მოუტანა მას.

ოპერატორის თანაშემწის გზა თამამად განვლო ა. ფარეზიშვილმა და შემდეგ უკვე დამოუკიდებელი სამუშაო მიანდვეს. იგი ამთავრებს დოკუმენტალური ფილმის—«ილია ჭავჭავაძის» (სცენარი ლ. ასათიანისა. რეჟისორი ა. მამულაშვილი) გადაღებას.

საყვარელი მწერლის შემოქმედებამ. ილიას მშობლიურ ადგილებში მოგზაურობამ. ფოლიანტების შესწავლამ ალექსანდრას ახალი შემოქმედებითი ბიძგი მისცა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამსჭვალული ოპერატორი არაფერს ზოგავდა. რომ რამდენიმე კადრი მაინც შეექმნა დიდი მწერლის საკადრისი.

ეს სიყვარული. ეს მოუსვენრობა და ენთუზიაზმი თუ ბოლომდე გაჰყვება ალექსანდრას, მისგან საინტერესო ოპერატორი დადგება, და მაშინ აღარავინ ეტყვის მას, რომ ეს არ არის ქალის საქმე!

**ნანა ღვინეფაძე.**











მარჯვნივ—კადრები დოკუმენტალური ფილმიდან „ილია ჭავჭავაძე", რომელიც ამჟამად წარმოებაშია.



# მგოსნის გული

კლავდია დევდარიანი

მხატ. ზ. გოგოლაშვილი

მოთხრობა

ეკატერინემ თავი გააქნია აკვიატებული ფიქრების მოსაშორებლად და წამოდგა, ვეებერთელა სარკეში თვალი შეავლო თავის ანარეკლს. შავ თმებს თეთრი ზოლი გადასდევდა, მაღალ შუბლსაც გადაჰკვროდა ნაოჭი. უცხოდ მოეჩვენა თავი ყოფილ დედოფალს, სარკეს მოსცილდა, ფანჯარა გამოაღო, სიომ მარმაშის ფარდები შეარხია, ოთახში შემოიჭრა, ეკატერინეს სახეს მიელამუნა, ვერცხლისფრად მოელვარე თმა აუშალა, თავზე გადააყარა.

ანაზდად თბილისი მოაგონდა... ღამით, ფანჯარას რომ გამოაღებდა და ოთახში ნელი სიო შემოიჭრებოდა, ზემოდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა, ისმოდა გულჩათხრობილი დუდუნი მტკვრისა. შორიდან მეტივეები გამოჩნდებოდნენ ჩირაღდნებით და ქარს გრიგოლის ლექსის სიტყვები მოჰქონდა—«თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ»...

ბაღიდან შემოჭრილმა ხმაურმა გამოარკვია ეკატერინე, ფანჯარაში გადაიხედა. მისი შვილების წინ ახალგაზრდა იდგა და გატაცებით რაღაცას უამბობდა. რბილი და მჟღერი ხმა ჰქონდა ჭაბუკს. სიტყვები არ ესმოდა ეკატერინეს, მაგრამ ვის აგონებს, ნეტავ, მისი მოელვარე თვალები, გაბრწყინვებული სახე და მაღალი, სპეტაკი შუბლი?.. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ხელი აუკანკალდა, ბაგეები აუთრთოლდა და გულიდან მისდაუნებურად აღმოხდა:

— ტატო!...

ჭაბუკმა თითქოს იგრძნო ეკატერინეს გულისძახილი, მთელი ტანით მობრუნდა, და ეკატერინეს თვალწინ დაუდგა ჭავჭავაძიანთ დიდ დარბაზში ხელაღმართული მგოსანი, მგზნებარე ხმით რომ კითხულობდა:

დიდი ხანია გულს ირაკლისა
გადუწყვეტია ბედი ქართლისა...

ეკატერინე სწრაფად მოსცილდა ფანჯარას, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, ათრთოლებული ხელებით დაუწყო ძველ ნივთებს გადმოლაგება. აი, მამის კრიალოსანი, დედის შუბლის ქინძისთავი, პატარა ნინოს თმის კულული, გრიბოედოვის სათუთუნე, ესეც თბილისიდან წამოღებული ნუშის რტო და... ტატოს ხელით ნაწერი რვეული...

ეკატერინე სავარძელში ჩაეშვა. ათრთოლებულმა თითებმა გადაშალეს მგოსნის რვეულის შეყვითლებული ფურცლები. შრიალის ნაცვლად თითქოს ტატოს გულის ძგერა მოესმა, ტატოს ბობოქარი გულისა, თავის ქვეყნიდან შორს რომ ჩაიხვია შავმა მიწამ... შეწყდა ტატოს მერნის დაუსრულებელი ქროლვა? დაისვენა ტატოს გულმა? არა! მისი გული აქ არის, ამ პატარა რვეულში, ის, ხომ თავისი ხელით მოუტანა ჭაბუკმა ეკატერინეს. მაგრამ აქ, ასე შორს რა უნდა ტატოს გულს? იგი იქ, სამშობლოში უნდა იყოს...

ზარი დარეკა. მსახურს უბრძანა:—უხმეო ბაღში მყოფთ.

როცა ახალგაზრდები შემოვიდნენ, ფეხზე იდგა ეკატერინე, ქალის სინათლით გაშუქებული, იმედით შეაჩერდა ჭაბუკს. ლოცვასავით გაისმა მისი ხმა:

— ილია, დღეს ბაღში ჩემ შვილებთან მოსაუბრე რომ დაგინახე, გადავწყვიტე შენთვის გადმომეცა ჩემი ანდერძი... თბილისში იყო ერთი ჭაბუკი, რომელსაც სამშობლოსთვის ისევე უცემდა გული, როგორც შენ. მას თავის ქვეყანაში განსვენებაც არ ეღირსა, უცხო მხარეში ქარიშხალმა მიაყარა მიწა, მისი გული კი მე წამომყვა. ქართლის ბედისთვის ძგერდა ის და ვალდებული ვარ მასვე დავუბრუნო...—და ეკატერინემ ჭაბუკს რვეული გადასცა.

* * *

... რამდენიმე წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძე საქართველოსაკენ მოეშურებოდა, სამშობლოში მგოსნის გული მოჰქონდა...



თამარ აბაკელია
კოლმეურნის ოჯახი.





ქეთევან მაღალაშვილი

ელენე ახვლედიანის პორტრეტი.



ელენე ახვლედიანი

სიღნაღი.



ქეთევან მაღალაშვილი

მედეა ჯაფარიძის პორტრეტი.



ელენე ახვლედიანი

ციხისჯვარი.



მატილდა მლევრიშვილი

ბაზრობა ჩინეთში.



ეკატერინე ბალდავაძე — ქართველი ქალი.



ელენე ახვლედიანი — ქართული ნატურმორტი.



დედოფალა „მარინე“.

კონსტრუქტორი
რ. ბეგთაბეგიშვილი.

მეჩონგურე ქალთა ანსამბლი.

დედოფლების ავტორი მხატვარი ნ. ბელიაევა, კონსტრუქტორი რ. ბეგთაბეგიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარსულის ფურცლებიდან

## საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი

რამდენიმე დღე და 40 წელი შესრულდება, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

სულ სხვაგვარად წარიმართა საქართველოს მშრომელთა ბედი თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები — მენშევიკები. მათი ბატონობის პერიოდში კვლავ ძველებურად აუტანელი იყო მშრომელთა მდგომარეობა. საქართველოს ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს, რომ ისინი თავისუფლებას მხოლოდ მენშევიკური მთავრობის დამხობითა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მოიპოვებდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აჯანყებებმა იფეთქა. ამ ბრძოლებმა განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო 1918 წლიდან. მნიშვნელოვანი იყო თავისი მასშტაბით დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხი ქალები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პელაგია კირილეს ასული შუშიაშვილი, ბაბალე პაპუნაშვილი, ტასო ლალიაშვილი, ვერა და მაშო ნათელაშვილები და სხვები.

პელაგია შუშიაშვილი რევოლუციურ მოძრაობაში ჯერ კიდევ 1905 წლიდან ჩაება ძმის, თედო შუშიაშვილის გავლენით. როცა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სხვა აქტიურ მებრძოლებთან ერთად თედო შუშიაშვილიც დააპატიმრეს, პელაგიამ ციხეში მყოფ ძმასთან კავშირი დაამყარა და ზუსტად ასრულებდა მის დავალებებს.

„— თედომ ამ დროს გარეთ მყოფ ამხანაგებს ასეთი დავალება მოგვცა, — იგონებს პელაგია შუშიაშვილი, — დაგვემზადებინა წერაქვები, ლომები და საჭიროების დროს შეგვეგზავნა ციხეში, რომელიც სჭირდებოდათ იმ 12 ამხანაგის გადასარჩენად, დახვრეტა რომ ჰქონდათ მისჯილი. ჩვენ ეს დავალება კარგად შევასრულეთ. წინასწარ შევუთანხმდით ციხის ყასაბს, რომელმაც აღნიშნული იარაღები ხორცსა და ყინულს შორის ჩადო და ისე შეიტანა ციხეში. ტუსაღებმა გათხარეს გვირაბი და გაიქცნენ.“.

რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის თ. შუშიაშვილი ციმბირში გადაასახლეს, იქიდან მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

აჯანყებულთა იარაღით უზრუნველყოფის მიზნით თედომ პელაგიას დაავალა სოფელ ბაზალეთში გაეხსნა საფეიქრო სახელოსნო. ეს დავალება ახალგაზრდა ქალმა შეასრულა. სულ მალე სახელოსნოში 90 ქალმა დაიწყო მუშაობა. საქსოვი მანქანები და ძაფი თბილისიდან ურმით გადაჰქონდათ ყუთებით, რომელთა ქვეშ აწყობდნენ ოსტატურად შეფუთულ იარაღს. მცხეთაში პოლიცია ყუთებს ჩხრეკდა. ზედა ყუთების შემოწმების შემდეგ ყურადღებას აღარ აქცევდა ქვედა ყუთებს. ამრიგად, იარაღი მშვიდობიანად ჩაჰქონდათ ბაზალეთში. გლეხებს შორის იარაღის განაწილებაში მონაწილეობდნენ ბაბალე პაპუნაშვილი და ტასო ლალიაშვილი, განაწილების მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდა პელაგია შუშიაშვილს.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების დამარცხების შემდეგ პელაგია დააპატიმრეს, რამდენიმე დღეს საპყრობილეში იჯდა, მაგრამ ხალხის ენერგიული მოთხოვნით გაანთავისუფლეს, რის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. 1919 წლის ნოემბერში პელაგია კვლავ დააპატიმრეს. განთავისუფლებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციის დახმარებით.

მენშევიკების ბატონობისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის აქტიურ ბრძოლას ეწეოდა აგრეთვე ბაბალე პაპუნაშვილი. იგი რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის, მიხა პაპუნაშვილის მეუღლე იყო. მასთან ერთად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში დუშეთის მაზრაში. რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის დააპატიმრეს ბაბალეს მეუღლე და მამამთილი, რის შემდეგ ახალგაზრდა ქალმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა.

— „ორი კვირის მელოგინე ვიყავი, როცა ჩემი ქმარი დააპატიმრეს, — იგონებს ბაბალე, — მელოგინე ქალმა დიდი აწიოკება განვიცადე. მოვიდოდნენ სტრაჟნიკები და მირტყამდნენ მათრახს, ფეხშიშველს მარბენინებდნენ ყინვასა და თოვლში: „გვითხარი შენს ქმარს იარაღი სადა აქვს დამალული, თორემ სიკვდილს ვერ ასცდებიო.“ იარაღი მე თვითონ მქონდა დამალული, მაგრამ კრინტსაც არ ვძრავდი... დამეცემოდა თავზე ეგზეკუცია, მართმევდა რაც მებადა, მაგრამ მაინც ვერ გამტეხეს.“

1915 წელს ბაბალე შვიდი წლით გადაასახლეს საქართველოდან, ცხოვრობდა ვლადიკავკავში. გადასახლებიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და აქტიური ბრძოლა დაიწყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მას დავალებული ჰქონდა იარაღის შენახვა, პროკლამაციების გავრცელება, აგიტაცია-პროპაგანდა გლეხობაში. ბაბალე ხშირად იარაღით ხელში სდარაჯობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალურ კრებებს, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დუშეთის მაზრის გლეხთა ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით, 1921 წლის 25 თებერვალს დაამხეს მენშევიკების ბატონობა და სოციალისტური განვითარების ფართო გზაზე გამოვიდნენ.

სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე მოპოვებული უდიდესი მიღწევებით ეგებებიან დღეს საქართველოს მშრომელები დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. ჩვენს ქვეყანაში გაშლილი გრანდიოზული მშენებლობის აქტიური მონაწილენი არიან მშრომელი ქალები, მათ შორის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მებრძოლი ქალები, რომელთა უანგარო წვლილს ძველი ცხოვრების ნგრევაში ყოველთვის მადლიერებით მოიგონებს ჩვენი ხალხი.

ალექსანდრა ართილაყვა.
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ძველი დუშეთის შეიარაღებული აჯანყების გმირი მონაწილეების ძმათა საფლავზე.

(საქდესის ფოტოქრონიკა),

# ციფრები და მიღწევები

ბაბული შელია



კომბინატის დირექტორი ე. თავაძე ესაუბრება ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს ო. ბეჟუაშვილს.

— მოწინავეები?!... რამდენიც გნებავთ!— ღიმილით გვიპასუხა ჩვენს თხოვნაზე — დაესახელებინა წარმოების მოწინავე აჟამიაწები თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორმა ეველინა თავაძემ და ჩამოთვალა: — ხვიაგამწელავ მანქანაზე მომუშავე ქეთევან კენკიშვილი, მჩეჩავი ნაზო ლივერაშვილი, წინდების გამკერავი ვალენტინა შეინა, მეფთილე ტაისია ხლუსტოვა. მრთველები ელენე სიკორსკაია და თამარ ჯეირანაშვილი, მეკოტონეები — ნადია ტობოლსკაია, ციალა კვირიკაშვილი. ახლა კომბინატის საერთო მაჩვენებლებზე მოგახსენებთ: ჩვენი კომბინატის ორივე ფაბრიკამ — სართავმა და სატრიკოტაჟომ საწარმოო წლის ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დღეისათვის ასეთი სურათი გვაქვს: კომბინატს ცხრა თვეში უნდა გამოეშვა 63.670 ათასი მანეთის პროდუქცია. ნამდვილად კი ქვეყანას 67.438.500 მანეთის პროდუქცია მისცა, ე. ი. გეგმა 105,9 პროცენტით შეასრულა.

ეველინა კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსთან ოთარ ბეჟუაშვილთან ცხარე კამათში დავტოვეთ და საამქროებში გავედით...

სართავი ფაბრიკის საჩეჩავ-სავარცხნ საამქროში მანქანების გაბმული გუგუნია. საჩეჩავ-ხვიაგამწელავ მანქანებთან გულმოდგინედ ფუსფუსებენ სამუშაო წინსაფრებში გამოწყობილი თავსაფრიანი ქალები. ჩვენ მათ შორიდან ვაკვირდებით.

აგერ, ჩვენს პირდაპირ საშუალო ტანის შავგვრემანი გოგონა ხან ერთ, ხან მეორე მანქანას დასტრიალებს, პატარა ჯაგრისით ხელში მზრუნველად აცლის ბამბის მტვერს, თოვლის ქულასავით თეთრი ბამბის ხვეულებით სავსე ბალონს განზე სწევს და ახალს უდგამს. აგერ, მასთან ლურჯხალათიანი ახალგაზრდა ქალი მივიდა.

— ეს ცვლის ოსტატია — ლეილა გეგეჭკორი! მანქანებთან მოფუსფუსე კი ნაზო ლივერაშვილია, — აგვიხსნა გამყოლმა.

ნაზოს ვთხოვეთ რამდენიმე წუთი დაეთმო ჩვენთვის. იგი ცოტა არ იყოს უხალისოდ დაგვთანხმდა. ხუმრობა ხომ არაა, ოცდარვა მანქანას თუნდ ერთი წუთით მოაშორო თვალი და ხელი.

ნაზო აჩქარებით გვიამბობს თავის არცთუ ისე ხანგრძლივ შრომით ბიოგრაფიას და თან ცალი თვალი მანქანებისკენ უჭირავს. ვხედავთ გაქცევაზეა. რამდენიმე შეკითხვა და ნაზო უკვე თავის მანქანებთანაა. იგი ხანგამოშვებით იქიდან გამოგვხედავს ხოლმე ღიმნარევი თვალებით.

1955 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა ნაზო ლივერაშვილი თბილისში და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში საჩეჩავ-სავარცხნ საამქროში მოეწყო მოწაფედ. მან ინსტრუქტორ დუსია ოსიპოვას ხელმძღვანელობით დაიწყო საქმის შესწავლა. ინსტრუქტორი ხედავდა, როგორ ხარბად იჭერდა იგი მის ყოველ სიტყვას, უფიქრდებოდა შენიშვნებს. გოგო კი არა, ოქროა, მაგისგან ოქროს ხელი დადგებაო, — უთქვამს ხშირად ინსტრუქტორს თავის მოწაფეზე. გამართლდა მისი სიტყვები. სულ მალე ნაზოს 14 მანქანა ჩააბარეს. აბა, მაშინ გენახათ ეს თითისტოლა გოგონა, ჩიტივით რომ დაფრინავდა თოთხმეტ რკინის გოლიათს შორის. ერთხელ, ცვლის დამთავრების შემდეგ იგი გულაჩუყებული გადაეხვია ამაგდარ მასწავლებელს და ბუნებით მოკრძალებულმა თავისი დამტვრეული რუსულით ძლივს ამოღერღა მადლობის სიტყვები.

საღამოს კი სასიხარულო ბარათი აფრინა მშობლიურ სოფელში: — ნდობის ღირსად მცნეს, დამოუკიდებლად ვმუშაობ, უკვე თოთხმეტი მანქანა ჩამაბარეს, მომილოცეთო, — წერდა ნაზო თავისიანებს. ეს დღე ნაზოს შრომით ბიოგრაფიაში არც თუ შორეული, მაგრამ მაინც წარსულია. ოცდარვა მანქანაზე მომუშავე მუშა-ქალი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

აქვე ვეცნობით მოწინავე მუშა-ქალს ქეთევან კენკიშვილს. რომლის შრომითი მიღწევებით სამართლიანად ამაყობს კომბინატის



ქ. კენკიშვილი თავის სამუშაო მანქანასთან.



მეფთილე ტ. ხლუსტოვა.



მეკოტონეები ნ. ტობოლსკაია (მარჯვნივ) და ც. კვირიკაშვილი.



საჩეჩ-სავარცხნი საამქროს ცვლის ოსტატი ლ. გოგეჭკორი (მარცხნივ) და მეჩავი ნ. ლივერაშვილი.

ათელი კოლექტივი. იგი ტილოს გამჭელავ მანქანაზე მუშაობს და გეგმას 200 პროცენტით ასრულებს. ამავე მანქანაზე მუშაობის პროცესის გაიოლების ახალი მეთოდის შემუშავებისათვის ქეთევანი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქების სიგელით. შრომაში მოწინავე, იგი საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკი და გულისხმიერი ამხანაგია.

ეს მაღალი. ლამაზი ქალიშვილი კი მეფთილე ტაისია ხლუსტოვაა. სალენტო-საფთილე საამქროდან.

იგი საწარმოო გეგმებს ყოველდღიურად 110—135 პროცენტით ასრულებს. შესანიშნავად უძღვება საამქროს კომკავშირულ ორგანიზაციას. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე მუშებს ნადია ტობოლსკაიას და ციალა კვირიკაშვილს კოტონის საამქროში იმ დროს მივუსწარით. როცა ისინი ახალნაქსოვ წინდას სინჯავდნენ.

— ორივე მოწინავე მეკოტონეა. გეგმას 135—140 პროცენტით ასრულებენ,—გვითხრა საამქროს უფროსმა.—ერთმანეთს ეხმარებიან. უზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას.

კიდევ ბევრ საინტერესო ადამიანს, მოწინავე მუშას. ინჟინერს შეხვდებით ფაბრიკაში. თვითეულ მათგანზე შეიძლება დაუსრულებლად ილაპარაკო... ეს ქალები. რომელთა დიდი უმრავლესობა ოჯახის დედაა, შესანიშნავად ათავსებენ ერთმანეთთან საზოგადოებრივ შრომასა და საოჯახო საქმეს. ბევრი მათგანი საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

მშვენიერია კომბინატის ეზო, მისი ფართო, ლამაზი ხეივნებით, რომლებსაც კომბინატის მთავარი კორპუსიდან მიყავხართ მუშათა საერთო საცხოვრებლების, სასადილოს, კლუბის, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების. საცურაო აუზის. სპორტული დარბაზის, კალათბურთის, ფრენბურთის და ფეხბურთის მოედნებისკენ. ყველგან მხიარული ხმები. ჯანსაღი სიცილი გაისმის. გრძნობთ. რომ აქ ცხოვრობენ და შრომობენ მუშები—სრულუფლებიანი პატრონები ყოველივე იმისა, რასაც ირგვლივ ხედავთ. სულ მალე კიდევ უფრო ლამაზი და დიდებული სანახაობა გადაიშლება აქ. კომბინატის ძირითადი შენობის გვერდით აღიმართება ახალი სატრიკოტაჟო ფაბრიკის კორპუსები. ეს ფაბრიკა. რომელიც ექსპლოატაციაში 1959 წელს შევა. გამოუშვებს უმაღლესი ხარისხის შალეულისა და აბრეშუმის ტრიკოტაჟს. ამით როდი ამოიწურება ჩვენი ახალი მშენებლობანი.—გვეუბნება ეველინა თავაძე.—ახლა მშენებლობის პროცესშია ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კომბინატის მრავალი მუშა მიიღებს მოკლე დროში ახალ, კეთილმოწყობილ ბინას. ქობულეთში, შავი ზღვის პირას, ჩვენთვის გამოყოფილ 2 ჰექტარ ფართობზე ვაგებთ 100-ადგილიან სახლს საბავშვო ბაღისათვის, რომელიც ზაფხულის პერიოდში მოემსახურება კომბინატთან არსებულ საბავშვო ბაღს. წლის დანარჩენ თვეებში კი იქ დაისვენებენ კომბინატის მუშა-მოსამსახურეები.

ისევ დირექტორის კაბინეტში ვართ. სამუშაო დღის დამთავრებას წუთებიღა აკლია. კაბინეტში მდივანი ქალი შემოვიდა და ეველინა ზაქარიას ასულს რაღაც ხმადაბლა უთხრა...

— რასაკვირველია. მივიღებ. ხვალამდე გადადება არაა საჭირო, ვინ იცის რა საქმე აქვთ.—აჩქარებით უპასუხა მან.

ჩვენ დირექტორს გამოვეთხოვეთ. ეველინამ კარებამდე მიგვაცილა და შედგა. უკვე სხვები შემოდიოდნენ.

ჩანდა. დირექტორის სამუშაო დღე კიდევ კარგახანს გაგრძელდებოდა. ასე იყო დღეს, ალბათ, ასევე იქნება ხვალ, ზეგ... რადგან გარდა იმ დიდი სახელმწიფოებრივი დავალებისა, რასაც იგი ასრულებს როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს ხელმძღვანელი. დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ერთი შეხედვით თითქოს შეუმჩნეველს. ნამდვილად კი უდიდესი მნიშვნელობის საქმეს—ადამიანებზე ზრუნვას.



კომბინატის საცურაო აუზთან.



კომბინატის მუშები დასვენების დროს.



ნადია ომერიძე ახალი სახლის მშენებლობაზე.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიასთან, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებთან ერთად თავიანთ შემოქმედებითს ღონისძიებებს მოახმარენ საბინაო მშენებლობაში მთელი რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას და უეჭველად გადაწყვეტენ უმნიშვნელოვანეს საყოველთაო-სახალხო ამოცანას—უახლოეს წლებში ალმოიფხვრას ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობა.“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან.

## «არავის ჰყავს ჩემისთანა ბებია»

ეზოში ბავშვები ცხარედ დავობდნენ.

— არ გჯერა? წამო, გაჩვენო.—ეუბნებოდა ცხრა-ათი წლის გოგონა თვისტოლს.—აი, ამ ქუჩას რომ გაივლი, ქვევით ჩაუხვევ, იქ რომ სახლი დგას, ჩემმა ბებომ ააშენა.

— შენმა ბებომ, არა!

— ფუნიკულორზე რომ კოშკი დგას და ღამე წითლად ანათებს, ისიც ჩემი ბებოს აღმართულია. ამისათვის ქების სიგელიც მისცეს.

— რა? ტელევიზიის კოშკურა? აი, კიდევ ახალი ტყუილი!.. იმ სიმაღლეს როგორ ავიდოდა...

— როგორ თუ ვერ ავიდოდა! ჩემი ბებო განა შენსასა ჰგავს?—ბრაზობდა პატარა და ლამის იყო ეტირნა.

გოგონას თუ დავუჯერებთ და მის მიერ ნაჩვენებ გზას გავყვებით, ჩელუსკინელების ქუჩაზე გავალთ. აქ აღმართულ საცხოვრებელ სახლებს რომ ენა ჰქონდეთ, მისი ყოველი აგური მოგიყვებათ, რომ ქალად კი არა, დიახაც, ვაჟკაცად დაბადებულა ნადია ომერიძე.

ვიწრო კალაპოტში მომწყვდეული მტკვარი, თუმც უკმაყოფილოა თვისი ბედისა, მაგრამ ნადიას მიმართ საყვედური როდი დასცდება. ახსოვს, ცეცხლივით რომ ტრიალებდა ეს ჩია ქალი მისი სანაპიროს მშენებლობაზე, არიქა, მშენებლებს ბეტონი არ შემოაკლდესო, და მისი შემყურე მამაკაცებიც თავგამოდებით შრომობდნენ—ქალს არ ჩამოვრჩეთო.

ზამთრის ცივ დღეებში მამადავითის ზემო პლატოზე სატელევიზიო ანძის საძირკველში 605 კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხა ნადიას ბრიგადამ.

და კიდევ თბილისის ბევრი სხვა სახლი იცნობს ნადია ომერიძის კაი ქალობას...

* * *

ჩამობნელდა. ოთახში სინათლე აანთეს, სადღესასწაულო სუფრაც გაშალეს და მაგიდის შუაგულში საგანგებოდ დამზადებული ნამცხვარი მოათავსეს—ათი წელი შესრულდა, რაც ნადია მშენებელი გახდა. იგი კი რატომღაც იგვიანებდა. მის პატარა შვილიშვილს ძილი ეროდა, მაგრამ როდი წვებოდა, ბებიას ელოდა.

ოთახში საყვარელმა თვალებმა შემოანათეს. მოვიდა. ყელზე შემოეჭდო შვილიშვილის მკლავები. სახე დაუკოცნა ბებიამ.

— საქალაქო საბჭოს სესიაზე ვიყავი,—უთხრა ნადიამ შვილებს და მაგიდისკენ გაემართა.

ვახშმის მერე, ბავშვი რომ ლოგინში ჩააწვინა, თვითონაც ჩვეულებისამებრ საწოლზე ჩამოუჯდა.

— ბებიკო, რამდენი სახლი აგიშენებია?

— ბევრი, გენაცვალე.

— ახლა სად აშენებ?

— სანაპიროზე, შვილო, დიდს, 220-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

— მალე ააშენებ?—არ ეშვებოდა პატარა, რომელსაც თავში გაუელვა აზრმა, რომ მეზობლის «ურწმუნო» გოგონა ჩქარა წაეყვანა ბებიის აშენებული სახლის სანახავად.

— მალე,—უპასუხა და დაფიქრდა.

«თუ მასალა არ შემოგვაკლდა, ვადაზე ჩავაბარებთ სახლს. მომავალ წელს სამი კორპუსი მზად იქნება. სწორედ ამიტომ იყო, რომ დღეს საქალაქო საბჭოს სესიაზე სიტყვა ითხოვა და ბრიგადის წევრების დანაბარები დამსწრეთ მოახსენა. საშენი მასალის დროულად მიწოდება მოითხოვა, შეპირდნენ კიდეც. ხვალ კარგ ამბავს მიუტანს მშენებლებს».

განვლილ გზას თვალი გადაავლო, ათი წლის მიღმა გადიხედა.

მოაგონდა. მოხუცი დედა რომ ევედრებოდა: ამ სიბერეში გულს



ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა, რომლის აგებაში მონაწილეობდა ნადია ომერიძის ბრიგადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აი, კიდევ ლამაზი შენობა. 86-ბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოზე, რომლის მშენებლობაზე მუშაობდა ნადია.

ნუ მატყუებ. ჩემი გამგონი შვილი იყავი მუდამ და ახლაც გამიგონე—შინ დარჩი. სამუშაოდ ნუ გახვალო. შემდეგ სიძეს გადახედა. გაფითრებული რომ იჯდა და ხმას არ იღებდა. ბრაზი მოედო—თუ ვაჟკაცია. რად დაუკრეფია გულხელი? რამდენს ქალი გაიწევს. იმდენი თუ თავის ნებაზე მიუშვი...

რა იცოდა მოხუცმა. რომ მთელი ღამე ქმარს თვალი არ მოუხუჭავს. დიდხანს ემუდარა ცოლს: შენ ბავშვებს მიხედე. თუმც ხელი დავკარგე. მაგრამ ოჯახს მაინც შევინახავო. სიყვარული დააფიცა და პირველი შეხვედრის. ოცნებისა და თავდავიწყების წლები გაახსენა.

... თვრამეტი წლის გოგონა. ცხოვრებაში გამოუცდელი და არაფრისმქონე. გაჰყვა მასავით ახალგაზრდა ყმაწვილს და ასე ეგონა მთელი ქვეყანა მისი იყო. გაიარა გატაცების პირველმა თვეებმა და ახალგაზრდებმა თანდათან ხელი გამოიღეს. ოჯახი მოაწყვეს.

სამი აკვანი დაარწია დედამ, სამი ვაჟკაცი გამოზარდა. მუდამ შინ ტრიალებდა—შვილებს არ მომიშივდეს. ქმარი მოუვლელი არ დამირჩესო. ახლა კი, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, შინ აღარ დგება, გული გარეთ მიუწევს, მშენებლობაზე.

ქმარმა გახედა სამუშაოზე წასასვლელად გამზადებულ ცოლს. ამ წუთში იგი მისთვის თითქოს შორეული იყო და თანაც მაინც ძველებურად ახლობელი. დაე, როგორც უნდა, ისე მოიქცეს,—გაიფიქრა და გაიღიმა.

ცოლმა ღიმილი შერიგებად მიიღო. გათხოვების შემდეგ დედის თანდასწრებით ქმრისკენ საალერსოდ პირველად მიიწია. მის მკერდს სახით შეეხო და წასჩურჩულა:

— კიდევ მემდური?...

... მშენებლობაზე პირველად რომ მივიდა, შემხვედრი მუშა გააჩერა და ჰკითხა—სამუშაოთა მწარმოებელი რომელიაო. მან მზით დამწვარ მამაკაცზე მიუთითა. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით მდგომმა გაიგონა რომ კითხულობდნენ და მისკენ წამოვიდა... შემდეგ ახალმოსული ბეტონისმდღვებავ მანქანასთან მიიყვანა, იქ მომუშავე ქალები გააცნო, სამუშაოს ხასიათი აუხსნა—როდის რა რაოდენობის ცემენტი უნდა ჩაეყარა, რამდენი ხრეში.

მალე ისე აითვისა საქმე, რომ ვაჟკაცებს ჯაბნიდა...

მას შემდეგ ნადიამ ბევრი რამ მოასწრო და დღეს, კარზემომდგარ ოქტომბრის 40 წლისთავის დღესასწაულსაც პირნათლად ხვდება: აგურს აგური ემატება. სართულს-სართული. ნადიას კოლეგებიც, მას ქალაქის გალამაზებაში რომ ეჯიბრებიან, ახალ სახლებს აგებენ. მალე ბარნოვის ქუჩაზე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას დაამთავრებენ; 26 კომისრის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე სამსართულიანი სახლი მობინადრეებს მოელის: საბურთალოზე ორი მსხვილბლოკიანი სახლი მალე დაბადების დღეს იზეიმებს; და კიდევ რამდენი!.. 30 ათას კვ. მეტრამდე საცხოვრებელ ფართობს ჩააბარებენ 7 ნოემბრისათვის ქალაქის მოსახლეობას სახელოვანი მშენებლები.

და მისი მადლიანი ხელებით, სხვების ხელებით ნაგებ კედლებში, რომლებშიც ფიქრიც ბევრი ჩაატანეს, იმედებიც და სურვილებიც სიცოცხლე დაბინავდება...

სუნთქვა ისმის, უშფოთველი, წყნარი. ეს ნადიას ოჯახის სიცოცხლეა, პატარა ყვავილი. შვილიშვილის სასთუმალთან ოდნავ შეჭაღარავებული თავი იხრება, ქორფა ტუჩები კი ბუტბუტებენ—არავის ჰყავს ჩემისთანა ბებია!..

**ლია ლიაძე.**

# წაუკითხეთ პატარებს

## ურჩი ბაჭია

შუაგულ ტყეში, მუხისა და პანტის ტოტებისგან დაფარულ კუნელის ბუჩქის ქვეშ, ცხოვრობდა ახალგაზრდა კურდღელი თავისი ერთადერთი ნაცრისფერი ბაჭიათი. დედა ძალიან ამაყობდა ვაჟიშვილით. დაბადების დღეს შორეული ტყიდანაც კი მოვიდნენ კურდღლები და ნაცარას გაჩენა იზეიმეს.

— კიდევ ერთი ვაჟი შეემატა ჩვენს მოდგმას. იმრავლონ კურდღლებმა, ვაშაა!—შესძახა მოხუცმა კურდღელმა და ყველა გაბმული „ვაშათი" გამოეხმაურა. მთელი ღამე, ვიდრე მთვარე უნათებდათ, „მრავალჟამიერი" არ შეუწყვეტიათ.

— მშვენიერი სანახაობაა,—აღტაცებით ჩურჩულებდნენ ვერხვები.

— აგერ, ასი წლისა ვარ და ასეთი რამ არ მინახავს,—ბუტბუტებდა გაკვირვებული მუხა.

— აი, ნახავთ, რა შესანიშნავი ვაჟიშვილი ეყოლება ჩვენს კურდღელს! იგი მზრუნველი დედაა, მთელი ღამე აკვანს არწევს და შვილს ტკბილ ნანას უმღერის,—დუდუნებდა კუნელის ჯაგი. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. კუნელის ჯაგს ხშირად ესმოდა, თუ როგორ უხეშად შეუბრუნებდა დედას სიტყვას ბაჭია.

— შვილო, ნაცარა, სულ ნუ შესჭამ მაგ მარწყვს. იქნებ სტუმრები გვეწვიონ. ცოტა მათთვისაც შევინახოთ,—ეტყოდა დედა.

— არა, მარწყვი მე მინდა,—გაჰკიოდა ბაჭია.

ღორმუცელა იყო პატარა ნაცარა. ერთხელ დედამ შეამჩნია, რომ იგი მაძღარი მოვიდა, ხავსის ლეიბზე წამოგორდა და გაიზმორა.

— დედიკო, რომ იცოდე, რა კარგი საჭმელები აღმოვაჩინე. აი შარაგზის მახლობლად რომ დიდი ბოსტანია. რა გინდა, სული და გული, შიგ რომ არ ეთესოს: ჭარხალი, კომბოსტო და მარწყვზე უფრო გემრიელი სტაფილო.

დედას ელდა ეცა. იმ ბოსტანს სასტიკი მეველე იორამი სდარაჯობდა. შარშან შემოდგომაზე მის თვალწინ გაასხებინა სული სიმინდში შეპარულ მაჩვს.

— შვილო, ნაცარა, არ დამღუპო, იქ საშიში კაცია!

— მე არ მეშინია,—დაიმანჭა ნაცარა,—ჩემი თათები არ მიღალატებენ. ერთი ფეხის დაკვრით ტყეში ამოვყოფ თავს.

მთელი ღამე დარაჯობდა დედა კურდღელი შვილს, მაგრამ გათენებისას, როცა დაღლილს ჩათვლიმა, ნაცარა ფეხაკრეფით გაიპარა და თვალწარმტაც ბოსტნისაკენ გაეშურა.

—აგერა ბოსტანიც, როგორ მაცდურად ბიბინებენ ნორჩი ჭარხლისა და სტაფილოს კვლები! ნაცარას სიხარულისაგან გული აუძგერდა, პირში ნერწყვი მოადგა.

უცებ მესივით იგრიალა თოფმა, ტყვია ნაცარას ფეხში მოხვდა. ჰაერში შეავდო და შემდეგ ძირს დაანარცხა.

— მოხვდა, მოხვდა!—დაიძახა მეველე იორამმა და დაჭრილ ბაჭიასაკენ გაექანა. მართალია, ნაცარას სისხლი ღვარივით სდიოდა. მაგრამ ძალღონე მოიკრიბა და ტყისაკენ მოუსვა.

— აა, ეს შენა ხარ, ნაცარავ?! დაჭრილი ხარ? საბრალო დედაშენი კი შენს საძებნელად წავიდა,—ჩამოსძახა პანტის ხემ.

— აი, ეს აბლაბუდა დაიდე ჭრილობაზე და სისხლის დენას შეგიჩერებს,—უთხრა ექიმობით განთქმულმა ზღარბმა.

— ეგ, დედას რომ არ გაუგონე, იმიტომ მოგივიდა!—დაიგუგუნა გაჯავრებულმა მუხამ.

მთელი ტყე ხმაურობდა, გმობდა ნაცარას საქციელს. რამდენიმე ხნის შემდეგ ზღარბმა სრულიად განკურნა ნაცარა, მხოლოდ პირობა ჩამოართვა, რომ დედას გაუგონებდა და ბოსტანში აღარ წავიდოდა. ის დღეა და ის, ნაცარას ბოსტნისაკენ პირი აღარ უქნია.

**ციცინო მესტიაშვილი.**

# ევროპის ქუჩებში

ტურისტთა ერთი ჯგუფი 10 ივნისს გავიდა თბილისიდან ევროპის გარშემო სამოგზაუროდ. ჩვენი ვაგონი თბილისი-ლენინგრადი რამდენიმე საათს სოხუმში იდგა. სოხუმის ფუნიკულორიდან დიდხანს დავცქეროდით მშობლიურ ქალაქს. გვსურდა მეხსიერებაში კიდევ ერთხელ აღგვებეჭდა მისი მშვენიერება. ამავე სურვილით 14 ივნისს მანქანით შემოვუარეთ თეთრ ღამეში ჩაძინებულ ლენინის ქალაქს. ეს შთაბეჭდილებანი ვერ დაჩრდილა ევროპის ბრწყინვალე ქალაქების—პარიზის. რომის. ბრიუსელისა და სხვათა ხილვამ.

15 ივნისს. ღამის 12 საათზე. რვაასი საბჭოთა ტურისტის მასპინძელი. ულამაზესი გემი «გრუზია» ბალტიის ზღვაში გავიდა.

პირველი ქვეყანა. სადაც ფეხი დავდგით. ფინეთი იყო. ჰელსინკის ნავსადგურში თაიგულებითა და ჩვენთვის საგანგებოდ დამზადებული სამკერდე ნიშნებით შეგვხვდნენ მასპინძლები.

ცეკვა-სიმღერა. მეგობრული შეძახილები, მისალმებანი გვესმოდა ყოველი მხრიდან.

16-17 ივნისს მოვიარეთ კლდეზე აღმართული. მწვანეში ჩამჯდარი ქალაქი. დავათვალიერეთ მისი ღირსშესანიშნაობანი, ვინახულეთ ის სახლი, სადაც 1917 წელს ცხოვრობდა. ვ. ი. ლენინი.

გამგზავრების წინ მოულოდნელად მოგვიახლოვდა მოხუცი ფინელი ქალი და ღია ბარათი გადმოგვცა. მის ერთ მხარეზე ჰელსინკი იყო აღბეჭდილი, ხოლო მეორეზე—ვიღაცას ნაჩქარევი ხელით ფანქრით წაეწერა: «გულითადი სალამი ძვირფას მეგობრებს! ჩვენ მშვიდობა გვინდა და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. **ფინელი ქალი.**» დიდხანს გვემახსოვრება ამ ხანშიშესული ქალის შემკრთალი სახე, ღარიბი ჩაცმულობა და გრძნობით აღსავსე თვალები.

ბალტიის ზღვიდან ულამაზესი კილის არხით ჩრდილოეთის ზღვაში შევედით.

21 ივნისს ბელგიაში ვართ. ვათვალიერებთ ბრიუსელს. აქ მუშათა გაფიცვების მოწმენიც ვახვდით... ვნახეთ ის ადგილი, სადაც 1958 წელს მოეწყობა მსოფლიო სამრეწველო გამოფენა.

თვალს გვტაცებს ბელგიის მშვენიერი არქიტექტურული ნაკეთობანი და არც გასაკვირია, ბელგია ხომ მხატვართა ქვეყანაა!



ათენი. იუპიტერის ტაძრის ნანგრევები.

ბრიუსელიდან სუანის მშვენიერი ტყითა და ტერვიურენის ბაღით ქალაქ მალინში მივედით. გაოცებული ვისმენთ დაუვიწყარ სიმფონიას—«მალინის ზარების რეკვას» შესრულებულს 75 წლის მოხუცის—მათიას ვან დე გენის მიერ. ერთად ზანზარებდა სხვადასხვა ზომის 49 ზარი. მათ შორის უდიდესი 8 ტონაა. უმცირესი—800 გრამი.

ანტვერპენში დავათვალიერეთ ერთიმეორის გვერდით აშენებული რუბენსის ორი სახლი, უმდიდრესი დარბაზებითა და მხატვრის უკვდავი ქმნილებებით.

22 ივნისს გულთბილად გაგვაცილეს ბელგიელებმა... პა-დე-კალედან გავცქერით ინგლისის სანაპიროებს. გემი საფრანგეთს უახლოვდება. ვღელავთ. პარიზის ნახვა ხომ ჩვენი ოცნება იყო.

მეორე დღეს საგანგებო მატარებელი პარიზისაკენ მიგვაქროლებდა. მიდამოები თითქოს ნაცნობია. თავი საქართველოში გვგონია. პარიზში ვართ. სამი დღე დავდიოდით მის ქუჩებში. დავდიოდით სანამ შეგვეძლო. გვინდოდა ყველაფერი გვენახა. ვიყავით ცნობილ ნოტრ-დამში (პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი). მონმარტრზე. ინვალიდების სახლში, სადაც ასვენია ნაპოლეონი. ვიყავით ღმერთების პანთეონში—საფრანგეთის ცნობილი ფილოსოფოსებისა და მწერლების სასუფეველში. პანთეონის შესასვლელში ძეგლი დგას. რომელსაც ეწოდება «ან თავისუფალი სიცოცხლე ან სიკვდილი». ჟან-ჟაკ რუსოს საფლავზე კი ამოჭრილია: «წევს სიმართლისა და ბუნების კაცი»... აი, ლუვრი—მსოფლიო ხელოვნების შედევრებით...

ვინახულეთ პერ ლაშეზის სასაფლაო, ყვავილებით შევამკეთ კომუნართა კედელი. მოკრძალებით თავს ვხრით შოპენის, ჰაინეს, ბარბიუსის საფლავების წინ. პარიზის ცენტრში ვართ. ვჩერდებით უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. მასზე ჩაუქრობლად ანთია ცეცხლი და მუდამ დგას ყარაული, პარიზის ცენტრში აღმართული ჟანა დარკის ქანდაკებაც. ჟანა დარკი აგრეთვე გამოსახულია მონმარტრზე, წმინდა გულის ბაზილიკის ტაძრის ფანჯარაზე.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში გამარჯვებისა და თავისუფლების სიმბოლოდ ქალია მიჩნეული,

პარიზი! პარიზი! მან ბევრი დაუვიწყარი მოგონება დაგვიტოვა... მართალია, მუშათა უბნები ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ მშომელთა სიდუხჭირეს მაინც ვგრძნობდით. ლუვრის დათვალიერების წინ ჩვენმა ავტომანქანებმა ორი საათით დააგვიანეს მძღოლთა გაფიცვის გამო, ვერსალისაკენ მიმავლებმა ვნახეთ სენის ხიდს ქვეშ შეფარებული უსახლკარო პარიზელები.

დავტოვეთ პარიზი. ლა-მანშიდან ბისკაის ყურით ჩვენი გემი ატლანტიკის ოკეანეში შევიდა. ხმელთა შუა ზღვით 2 ივლისს იტალიას ვესტუმრეთ. მომხიბლავია ეს ქვეყანა, თვალწარმტაცად ლურჯია მისი ცა და მისი ზღვა. გემი ნეაპოლში შეჩერდა. ლეჩაქის მაგვარ ნისლშია გახვეული ნეაპოლი. ამ ქალაქის შესახებ უთქვამთ: «ნეაპოლი ნახე და მოკვდიო». არ ვიცით, რამ მოგვაჯადოვა უფრო—ნეაპოლმა, სორენტომ თუ რომმა. სორენტოსა და კაპრის ცის ქვეშ ვფიქრობდით მაქსიმ გორკიზე... გაგვანცვიფრა რომის დიდებამ. მას მხოლოდ პარიზი თუ შეედრება, ვიხილეთ ვატიკანის საუნჯენი, პანთეონი, სადაც ასვენია




პარიზი. უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

გენიალური რაფაელი, სამი ქუჩის ლამაზი შადრევანი, პინჯოს ბაღი და მრავალი სხვა.

საუკეთესო მოგონებად დაგვრჩება კუნძულ კაპრისკენ კატარღით მოგზაურობა. იქ, ტირინეის მუქ ლურჯ ზღვაზე იტალიელებთან ერთად ვმღეროდით «სანტა ლუჩიას», რომლის ჰანგი გვაგონებდა მშობლიურ სიმღერას «ხუჭუჭა ბიჭო, ჭირიმე შენი». მომხიბლავია იტალიელი ხალხი, მაგრამ აქ, ამ ზღაპრულად ლამაზ ქვეყანაში მწვავედ ვიგრძენით ბუნებასა და ადამიანის ხვედრს შორის შეუსაბამობა... ნეაპოლის ქუჩაზე გული მოგვიკლა სურათმა: ათი-თერთმეტი წლის გოგონას ქვაფენილზე, გაზეთების შეკვრაზე თავმიდებულს ეძინა. იტალია სავსეა მათხოვრებით. პოლიცია შეუბრალებლად ერეკება მათ.

7 ივლისს ეგეოსის ზღვით საბერძნეთში მივედით. აკროპოლიდან ჩვენს წინ გადაიშალა ათენი, ვათვალიერებთ ზევსის (იუპიტერის) ტაძრის ნანგრევებს. ეროვნულ მუზეუმებსა და ათენის წარსული დიდების სხვა მოწმეებს.. ათენში საბჭოთა ტურისტებისათვის გამართულ ოფიციალურ ბანკეტზე წარმოითქვა ხალხთა მეგობრობის სადღეგრძელოები.

დარდანელის სრუტით 9 ივლისს სტამბოლს (ძველ კონსტანტინეპოლს) ვეწვიეთ. ბიზანტიელთა ოდინდელ დიდებას მტვერი წაყრია. ვათვალიერებთ გრანდიოზულ აია სოფიას...

10 ივლისს მარმარილოს ზღვით რუმინეთში შევედით. ვნახეთ ქალაქი კონსტანცა. აქედან კი შავი ზღვით მშობლიურ ოდესაში დავბრუნდით.

ევროპის გარშემო მოგზაურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, გაგვიძლიერა სიამაყის გრძნობა, რომ საბჭოთა ქვეყნის მკვიდრნი ვართ, სადაც ადამიანის ღირსება და ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას.

**თამარ ზახაშვილი, თამარ მათიაშვილი, კლავდია დევდარიანი, ქსენია ხიხარულიძე, თამარ საჯაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარისა და ფანჯრის ჩარჩოების გარეცხვა

ღია ფერის სალებავით შეღებილი კარი და ფანჯრის ჩარჩოები უნდა გავრეცხოთ თბილი წყლით, უსაპნოდ, ხოლო წყალში უნდა ჩავურიოთ ერთი სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი. გარეცხვის შემდეგ ისინი კარგად უნდა გამშრალდეს, რათა ლაქები არ დააჩნდეს.

ხოდითა და საპნით გარეცხვის შემდეგ სალებავი ფერს იცვლის, ხოლო ნიშადურის სპირტით ნარევი წყალი არა მარტო აშორებს ყოველგვარ ჭუჭყს, არამედ ბრწყინვალებასაც აძლევს სალებავს.

## ფანჯრის მინის გარეცხვა

ფანჯრის მინა უნდა გაირეცხოს ნიშადურის სპირტნარევი ან არაყნარევი წყლით (1 წილი სპირტი 10 წილ წყალზე). გარეცხვის შემდეგ მინა კარგად უნდა გამშრალდეს ნაჭრით ან დაჭმუჭვნილი რბილი ქაღალდით (უკეთესია გაზეთის ქაღალდი).

შეიძლება მინაზე წავუსვათ აგრეთვე ცარცის ხსნარი, როცა გაშრება, გავწმინდოთ რბილი ქაღალდით.

## სარკის გარეცხვა

სარკის გასარეცხად უნდა დავამზადოთ სითხე შემდეგნაირად: სამი ჩაის ჭიქა წყალი, სამი სუფრის კოვზი ღვინის ძმარი და 60 გრამი ცარცის ფხვნილი უნდა ავურიოთ ერთმანეთში და ავადუღოთ. გაცივების შემდეგ ამ სითხეში დასველებული სუფთა რბილი შალის ნაჭერი სარკეს გადავუსვათ და შემდეგ გავწმინდოთ სუფთა მშრალი ნაჭრით ან რბილი ქაღალდით.

* * *

რძიანი, ცომიანი და კვერცხიანი ჭურჭელი ჯერ უნდა გაირეცხოს ცივი წყლით, ხოლო შემდეგ—ცხელით.

* * *

ხილის ან შავი ღვინის ლაქები ადვილად ცილდება გოგირდით. ქსოვილის ის ადგილი, სადაც ლაქაა, უნდა დავიჭიროთ ანთებული გოგირდის ალზე.

* * *

მარილის დანოტივების თავიდან ასაცილებლად მივუმატოთ მას 8—10 პროცენტი კარტოფილის ფქვილი. კარტოფილის ფქვილის ეს რაოდენობა მარილს არც გემოს შეუცვლის და არც ფერს. მარილი კი ყოველთვის მშრალი იქნება.

* * *

კვერცხის გული უნდა აითქვიფოს ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში, სასურველია სითბოში. კვერცხის ცილა და ნალები კი სიგრილეში.

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 7. ძველ სპარსეთში ოლქის მთავარმმართებელი: 8. ავსტრიელი კომპოზიტორი: 9. საკერავი მანქანის ნაწილი: 11. დასახლების სახელწოდება მთებში: 12 საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ქალი: 14. პოეტური ჟანრი, წარმოშობილი ძველ საბერძნეთში: 15. ნორვეგიელი დრამატურგი; 16. მდინარე ვოლგის შენაკადი; 17. წელთაღრიცხვა: 20. მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. ფარული დაცინვა, 23. ცნობილი რუსი მხატვარი: 24. ელექტროენერგია მოძრაობაში: 26. ე. ზოლას რომანი: 27. გერმანელი მწერალი ქალი; 28. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქალი.

**ვერტიკალურად:** 1. ისტორიული სოფელი საქართველოში; 2. ცხიმეული: 3. ისტორიული მოვლენების ამსახველი მხატვრული ნაწარმოები; 4. მშვიდობისათვის მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ფრანგი ქალი; 5. ლეგენდარული გმირი ქართველი ქალი. 6. ნიმუში; 10. სამეგრელოს დედოფალი; 12. ახალი ქართული ჟურნალი; 13. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ქალი; 18. ქედი სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში; 19. ცნობილი ქართველი მოცეკვავე ქალი; 21. ფულადი გასამრჯელოს გაცემა წინასწარ; 22. ძველი ქართული გაზეთი; 25. ნაწარმოების მთავარი აზრი; 26. ხის სურნელოვანი ნაყოფი.



ნახატი დ. ერისთავისა.



ნახატი დონისა

რედაქტორი თეო აბაშმაძე

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ მგ მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, სულხან-საბას ქ. № 15.

ფასი 3 მან.

გადაეცა წარმოებას 4/X-57, ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X. ქაღალდის ზომა 60×92. შეკვეთა 1172. ტირაჟი 15000, უე 03184

Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали“ Издательство ЦК КП Грузии.

საქართველოს კპ ც-კის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. ლენინის ქ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდელები თბილისის მოდების სახლისა.










**მოდელი № 1.** ეს ანსამბლი შედგება თავისუფალი ფორმის ჟაკეტის (ქსოკილი-ეფექტი), შალის ქვედატანისა და კოფთისაგან მთლიანი სახელო მთავრდება მანჟეტით. რეკომენდებულია 46-50 ზომისათვის. მოდელის ავტორი — ე. ჯავახიშვილი.

**მოდელი № 2.** ქუჩაში გამოსასვლელი ანსამბლი, შედგება კაბისა და მოკლე ბოლეროსაგან (ქსოვილი — მუარი). ლიფი და ბოლეროს სარჩული გაწყობილია კაპრონის ქსოვილით. რეკომენდებულია 46-48 ზომისათვის. ავტორი — თ. კალანდაძე.

**მოდელი № 3.** კაბა მუარისაგან მთლიანი სახელოებით. ლიფი გამოყვანილია. ქვედატანი ბოლოში ვიწროვდება. თეძოებზე მსუბუქი ნაკეცებია. რეკომენდებულია 46-48 ზომისათვის. ავტორი — ა. რუხაძე.

**მოდელი № 4.** სადა კაბა შალის ქსოვილისაგან. კაკეტკა და ჯიბეები გაწყობილია ქგუტით. ქვედა ტანი სწორია, სახელოები მთლიანი. რეკომენდებულია 46-56 ზომისათვის. ავტორი — ა. კალანდაძე.

**მოდელი № 5.** ანსამბლი დასვენებისათვის. შარვალი და მოკლე ფიგარო შალის ქსოვილისაგან. კოფთა ბამბეულის ქსოვილისაგან. შარვალი მუხლებს ქვემოთაა. გვერდზე ჩაჭრილი ტოტები შემომრგვალებულია. რეკომენდებულია 46-48 ზომისათვის. ავტორი — ა. კალანდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ სურათზე თქვენ ხედავთ მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ელენე შალვას ასულ ერისთავს.

30 წელზე მეტია, რაც იგი ხილის ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს. მის მიერ გამოყვანილი ატმის ჯიშები — „ადრეული გორული", „პიონერი", „ნობათი" და „ვარდისფერი ერისთავი" ადრემოსავლიანი, კარგი გემოსა და არომატის მქონეა.

თუმც მეხილე-სელექციონერი ელენე ერისთავი უკვე ხანში შევიდა, მაგრამ საქმისთვის როდი მოხუცდა, ისე შეჰხარის ყოველ ახლადგახარებულ ნაყოფს, როგორც 30 წლის წინათ, კვლავ ენერგიული და სიცოცხლით სავსეა.